



ICRC

როგორ განიმარტება ტერმინი "შეიარაღებული კონფლიქტი" საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში?*

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ)
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახური
2008

* თარგმანი შესრულებულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

1949 წლის ჟენევის კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებმა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის წესდებების საშუალებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ანდეს *"შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოყენებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ ცოდნის გავრცელებასა და განვითარებაზე მუშაობა"*.¹ ამის საფუძველზე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი წარმოადგენს დომინირებულ სამართლებრივ აზრს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში "საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის" და "არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის" ტერმინების განმარტების თაობაზე.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი განასხვავებს შეიარაღებული კონფლიქტის ორ სახეს, კერძოდ:

- საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ან მეტი სახელმწიფო, და
- არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, სახელისუფლებო შეიარაღებული ჯარებსა და არასამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, ან მხოლოდ არასამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ასევე განსხვავებს არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელიც რეგულირდება ჟენევის 1049 წლის კონვენციების საერთო მე-3 მუხლით და იმ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს შორის, რომელიც II დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული განმარტების ქვეშ ხვდება.

სამართლებრივი თვალსაზრისით სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სიტუაცია შეიძლება ერთი სახის კონფლიქტიდან გადაიზარდოს მეორე სახის კონფლიქტში, იმის გათვალისწინებით თუ მოცემულ მომენტში რომელი ფაქტი დომინირებს.

¹ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის წესდებები, მუხლი 5, პუნქტი 28(ზ).

I. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი (IAC)

1) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ხელშეკრულებები

ქენევის კონვენციების საერთო მე-2 მუხლი ამბობს:

"იმ დებულებათა გარდა, რომლებიც უნდა მოქმედებდეს მშვიდობიან დროს, წინამდებარე კონვენცია გამოიყენება გამოცხადებული ომის ყველა შემთხვევაში ან ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან რამდენიმე მაღალ ხელშეკრულ მხარეს შორის, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მხარე არ ცნობს საომარ მდგომარეობას.

კონვენცია აგრეთვე გამოიყენება მაღალი ხელშეკრული მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ოკუპაციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწყევნ."

ამ დებულების თანახმად, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არის დაპირისპირება "მაღალ ხელშეკრულ მხარეებს", ანუ სახელმწიფოებს შორის. საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენებს შეიარაღებულ ძალას, დაპირისპირების მიზეზისა და ინტენსივობის მიუხედავად. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისი ნორმები გამოიყენება შეიარაღებული მოქმედებების არარსებობის შემთხვევაშიც. უფრო მეტიც, საჭირო არ არის ომის გამოცხადება ან საომარი მდგომარეობის აღიარება. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა და შესაბამისად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ამ სიტუაციაზე გავრცელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხდება სინამდვილეში. ის ფაქტობრივ გარემოებებზეა დამოკიდებული. მაგალითად, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება არსებობდეს მაშინაც, თუ ერთი მხარე არ აღიარებს მეორე მხარის მთავრობას.² ქენევის 1949 წლის კონვენციების კომენტარი ადასტურებს, რომ: "ნებისმიერი უთანხმოება ორ სახელმწიფოს შორის, რომელიც შეიარაღებული ძალების ჩართვას გამოიწვევს, არის საერთო მე-2 მუხლით გათვალისწინებული შეიარაღებული კონფლიქტი, მაშინაც კი, თუ ერთი მხარე უარყოფს საომარი მდგომარეობის არსებობას. მნიშვნელოვანია არ აქვს რამდენ ხანს გრძელდება კონფლიქტი და რამდენი სისხლი დაიღვრება".³

ჩვეულებრივი, სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტების გარდა, I დამატებითი ოქმი საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს მიაკუთვნებს ისეთ კონფლიქტებს, რომელშიც ხალხი იბრძვის კოლონიური დომინირების, უცხოელთა ოკუპაციის ან რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ თავიანთი თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისას (ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომები).⁴

² "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის მნიშვნელოვანია არ აქვს აღიარებენ თუ არა მხარეები ერთმანეთს როგორც სახელმწიფოებს" საერთო სამხედრო წესდებები, 15/2: დ. ფლევი, შეიარაღებულ კონფლიქტში ჰუმანიტარული სამართლის სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, ოქსფორდი, 1995, გვ. 45.

³ ჟ. პიქტე, კომენტარი ქენევის 1949 წლის კონვენციაზე მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, წესდებები, 1952, გვ. 32.

⁴ I დამატებითი ოქმი, მუხლი 1, პუნქტი 4: "შეიარაღებულ კონფლიქტებს, სადაც ხალხები იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის, უცხოელთა ოკუპაციისა და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ, ახორციელებენ რა თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და სახელმწიფოთა შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაციითაა განმტკიცებული".

2) სასამართლო პრაქტიკა

იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალმა შეიმუშავა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ზოგადი განმარტება. ტადიჩის საქმეში ტრიბუნალმა დაადგინა "შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს მაშინ როდესაც ადგილი აქვს სახელმწიფოთა შორის ძალის გამოყენებას".⁵ ეს განმარტება მოგვიანებით სხვა საერთაშორისო ორგანოებმაც მიიღო.

3) დოქტრინა

დოქტრინა სასარგებლო კომენტარებს გვაძლევს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის განმარტებასთან დაკავშირებით.

დ. შინდლერის მიხედვით, "ორი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დაპირისპირება ყოველთვის შეიძლება ჩაითვალოს ჟენევის კონვენციების საერთო მე-2 მუხლით განსაზღვრულ შეიარაღებულ კონფლიქტად. [...] ორ სახელმწიფოს შორის ნებისმიერი სახით ძალის გამოყენება იწვევს კონვენციების ამოქმედებას".⁶

ჰ-ჰ. გასერი ამბობს, "ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართული ნებისმერი ფორმის ძალის გამოყენება იწვევს ამ სახელმწიფოთა შორის ჟენევის კონვენციების ამოქმედებას [...] მნიშვნელობა არ აქვს უწევს თუ არა თავდამსხმელს წინააღმდეგობას თავდასხმული მხარე [...] როგორც კი ერთი სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდება მეორე სახელმწიფოს დაჭრილი ან ჩაბარებული შეიარაღებული ძალების წევრები ან სამოქალაქო პირები, როგორც კი მათ ხელში აღმოჩნდება ტყვეები ან მოიპოვებენ კონტროლს მტრის სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილზე, მათ უნდა დაიცვან შესაბამისი კონვენციების ნორმები".⁷

გერმანიის საერთო სამხედრო წესდებების მიხედვით, "საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს ადგილი აქვს, როცა ერთი სახელმწიფო შეიარაღებულ ძალას იყენებს მეორეს წინააღმდეგ [...] სამხედრო ძალის ცალკეული პირების ან პირთა ჯგუფის მიერ გამოყენება საკმარისი არ არის".⁸

II. არაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი (NIAC)

1) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ხელშეკრულებები

იმისათვის, რომ განისაზღვროს თუ რას ნიშნავს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, საჭიროა ძირითადი წყაროების განხილვა: ა) ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი, ბ) II დამატებითი ოქმის პირველი მუხლი:

ა) არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი საერთო მე-3 მუხლის ფარგლებში

საერთო მე-3 მუხლი გამოიყენება "მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის დროს". ამაში მოიაზრება

⁵ იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი დუშკო ტადიჩის წინააღმდეგ, IT-94-I-A, 2 ოქტომბერი 1995 წელი, პუნქტი 70.

⁶ დ. შინდლერი, სხვადასხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტები ჟენევის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების მიხედვით, RCDA, 1979-II, გვ. 131.

⁷ ჰ-ჰ. გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი: შესავალი, გამოცემაში: ჰუმანურობა ყველასთვის: წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა, ჰ. ჰაუგი, პოლ ჰაუპტის გამომცემლობა, 1993, გვ. 510-511.

⁸ დ. ფლეკი, შეიარაღებულ კონფლიქტში ჰუმანიტარული სამართლის სახელმძღვანელო, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, ოქსფორდი, 1995, გვ. 40.

შეიარაღებული კონფლიქტები, რომელშიც ერთი ან ერთზე მეტი არასამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებებია ჩართული. სიტუაციის მიხედვით შეიარაღებული მოქმედებები შეიძლება მიმდინარეობდეს სახელისუფლებო შეიარაღებულ ჯგუფსა და არასამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებას ან მხოლოდ ასეთ დაჯგუფებებს შორის. მას შემდეგ, რაც ჟენევის ოთხივე კონვენცია უკვე რატიფიცირებულია უნივერსალურად, მოთხოვნამ, რომლის მიხედვითაც შეიარაღებულ კონფლიქტს ადგილი უნდა ჰქონდეს მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად დაკარგა მნიშვნელობა. სინამდვილეში, ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტი სახელისუფლებო შეიარაღებულ ძალებსა და არასამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებას ასეთ შორის ან მხოლოდ ასეთ დაჯგუფებებს შორის შესაძლებელია მიმდინარეობდეს მხოლოდ ჟენევის კონვენციების მონაწილე სახელმწიფოთა შორის.

იმისათვის, რომ მოხდეს საერთო მე-3 მუხლით განსაზღვრული შეიარაღებული კონფლიქტის განსხვავება ძალადობის ნაკლებად სერიოზული ფორმებისგან, როგორცაა შიდა არეულობები და დამაბულობები, აჯანყებები ან ბანდიტიზმი, საჭიროა, რომ სიტუაციამ მიაღწიოს დაპირისპირების გარკვეულ დონეს. ზოგადად მიღებულია, რომ შედარებით დაბალი ზღვარი, რომელიც II დამატებითი ოქმის 1(2) მუხლში გამოორიცხავს შიდა დამაბულობებისა და არეულობების შეიარაღებულ კონფლიქტად კვალიფიცირებას, გამოიყენება საერთო მე-3 მუხლის შემთხვევაშიც. ამ დროს, როგორც წესი, ორი კრიტერიუმი გამოიყენება:⁹

- პირველ რიგში, შეიარაღებულმა მოქმედებებმა უნდა მიაღწიონ დამაბულობის მინიმალურ დონეს. ასეთი შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როცა მაგალითისთვის, შეიარაღებული მოქმედებები ატარებენ კოლექტიურ ხასიათს, ან მთავრობას ამბოხებულთა წინააღმდეგ პოლიციის ნაცვლად სამხედრო ძალების გამოყენება უწევს.¹⁰
- მეორეც, არასამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც კონფლიქტში არიან ჩართულნი უნდა იყვნენ “კონფლიქტის მხარედ” მიჩნეულნი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ ორგანიზებული შეიარაღებული ძალები უნდა გააჩნდეთ. ამის მაგალითია, როცა შეიარაღებულ დაჯგუფებას გააჩნია გარკვეული სტრუქტურა და აქვს შესაძლებლობა რომ აწარმოოს სამხედრო ოპერაციები.¹¹

ბ) არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი II დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით

II დამატებითი ოქმის სპეციფიური მიზნებისთვის შემუშავებული იქნა არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის უფრო ვიწრო განმარტება. ეს დოკუმენტი ვრცელდება შეიარაღებულ კონფლიქტებზე, რომლებიც *“რომელიც მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მის შეიარაღებულ ძალებსა და მთავრობის საწინააღმდეგო ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც იმყოფებიან რა პასუხისმგებელი მეთაურობის განკარგულებაში, ახორციელებენ კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე ისე, რომ საშუალება აქვთ განახორციელონ უწყვეტი და შეთანხმებული საომარი მოქმედებანი და გამოიყენონ ეს ოქმი.”*¹²

ეს განმარტება ატარებს საერთო მესამე მუხლით განსაზღვრულ ცნებასთან შედარებით ვიწრო ხასიათს ორ ასპექტში: პირველი, ის აწესებს ტერიტორიული კონტროლის მოთხოვნას, ამბობს რა,

⁹ იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი დუშკო ტადიჩის წინააღმდეგ, IT-94-1-T, 7 მაისი 1997 წელი, პუნქტი 561-568; იხილეთ ასევე იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი ფატმირ ლიმას წინააღმდეგ, IT-03-66-T, 30 ნოემბერი, 2005 წელი, პუნქტი 84.

¹⁰ ამ კრიტერიუმის დეტალური ანალიზისთვის, იხილეთ იხილეთ ასევე იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი ფატმირ ლიმას წინააღმდეგ, IT-03-66-T, 30 ნოემბერი, 2005 წელი, პუნქტი 135-170.

¹¹ დ. შინდლერი, სხვადასხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტები ჟენევის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების მიხედვით, *LDJ*, 1979-II, გვ. 147; ამ კრიტერიუმის დეტალური ანალიზისთვის, იხილეთ იხილეთ ასევე იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი ფატმირ ლიმას წინააღმდეგ, *IT-03-66-თ*, 30 ნოემბერი, 2005 წელი, პუნქტი 94-134.

¹² II დამატებითი ოქმი, მუხლი 1, პუნქტი 1.

რომ "მხარეები უნდა ახორციელებდნენ კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე ისე, რომ საშუალება აქვთ განახორციელონ უწყვეტი და შეთანხმებული საომარი მოქმედებანი და გამოიყენონ ეს ოქმი".¹³ მეორეც, II დამატებითი ოქმი ვრცელდება მხოლოდ იმ შეიარაღებულ კონფლიქტებზე, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებსა და მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებულ ჯგუფებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის. საერთო მესამე მუხლისგან განსხვავებით, II დამატებითი ოქმი არ ვრცელდება არასამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებს შორის მიმდინარე კონფლიქტებზე.¹⁴

ამ საკითხზე, აღსანიშნავია, რომ II დამატებითი ოქმი "ავითარებს და ავსებს" საერთო მე-3 მუხლს "მისი გამოყენების არსებული პირობების შეუცვლელად". ეს იმას ნიშნავს, რომ ვიწრო მოქმედება ვრცელდება მხოლოდ II დამატებითი ოქმის გამოყენებაზე და არა ზოგადად არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართალზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება მე-8 მუხლის 2(ვ) პუნქტში ადასტურებს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ისეთი განმარტების არსებობას, რომელიც არ აკმაყოფილებს II დამატებითი ოქმით დადგენილ კრიტერიუმებს.

2) სასამართლო პრაქტიკა

სასამართლო პრეცედენტმა შეიარაღებული კონფლიქტის განმარტებაში მნიშვნელოვანი ელემენტები შემოიტანა, განსაკუთრებით საერთო მე-3 მუხლის კუთხით, რაც პირდაპირ არ არის განსაზღვრული მოცემულ კონვენციებში.

იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებმა, თავის მხრივ ნათელი მოჰფინა არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დეფინიციას. როგორც უკვე ითქვა, იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალმა არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი განმარტა როგორც "განგრძობადი შეიარაღებულ ძალადობა სახელისუფლებო ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფს შორის ან ასეთ ჯგუფებს შორის ერთი სახელმწიფოს შიგნით".¹⁵ ტრიბუნალმა დაადასტურა საერთო მე-3 მუხლის დეფინიცია: "დაპირისპირებული სხვადასხვა ფრაქცია, სახელისუფლებო შეიარაღებული ძალების ჩარევის გარეშე".¹⁶ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ტრიბუნალის ყველა მომდევნო გადაწყვეტილება იყენებდა ამ დეფინიციას როგორც საწყისს.

3) დოქტრინა

სხვადასხვა აღიარებულმა მეცნიერმა გააკეთა ნათელი კომენტარები იმაზე, თუ რა უნდა ჩაითვალოს არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად. მათი კომენტარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სიტუაციებში, როცა არ არის დაკმაყოფილებული II დამატებითი ოქმით დადგენილი კრიტერიუმები და საჭიროა ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მესამე მუხლით განსაზღვრული გარანტიების უზრუნველყოფა.

ჰ. ვასერის მიხედვით, ზოგადად აღიარებულია, რომ "არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არის შეიარაღებული დაპირისპირება, რომელსაც ადგილი აქვს ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით, ერთის მხრივ მთავრობასა და მეორეს მხრივ მოწინააღმდეგე ჯგუფს შორის"

¹³ II დამატებითი ოქმი, მუხლი 1, პუნქტი 1.

¹⁴ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება მუხლი 8, პუნქტი 2(ვ): "ის გამოიყენება ისეთი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რომლებიც მიმდინარეობენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როცა ადგილი აქვს განგრძობად შეიარაღებულ ძალადობას სახელისუფლებო შეიარაღებულ ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფს შორის, ან ასეთ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის".

¹⁵ იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი დუშკო ტადიჩის წინააღმდეგ, IT-94-I-A, 2 ოქტომბერი 1995 წელი, პუნქტი 70.

¹⁶ ი. სანდოზი / ვ. სვინარსკი / ბ. ციმერმანი, ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების 1977 წლის 8 აგვისტოს დამატებითი ოქმების კომენტარი, წგსკ, ჟენევა, 1987, პუნქტი 4461.

[...] მეორე შემთხვევაა სიტუაცია, რომლის დროსაც ხდება მთავრობის კოლაფსი, რის შედეგადაც სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფი იბრძვის ერთმანეთის წინააღმდეგ".¹⁷

დ. შინდლერი ასეთივე დეტალურ განმარტებას გვთავაზობს: "შეიარაღებული მოქმედებები უნდა ხორციელდებოდეს იარაღის საშუალებით და ატარებდეს ინტენსივობის ისეთ ხასიათს, რომ მთავრობა იძულებული იყოს პოლიციის ნაცვლად სამხედრო ძალები გამოიყენოს წინააღმდეგობის ჩასახშობად. მეორეს მხრივ, რაც შეეხება მოწინააღმდეგე ძალებს, შეიარაღებული მოქმედებები უნდა იყოს კოლექტიური სახის, ანუ არ ხორციელდებოდეს მხოლოდ ერთეული ჯგუფების მიერ. ამასთანავე, მოწინააღმდეგე ძალები უნდა ხასიათდებოდნენ ორგანიზებულობის მინიმალური ხარისხით მაინც. მათი შეიარაღებული ძალები უნდა იმყოფებოდნენ პასუხისმგებელი მეთაურობის ქვეშ და ჰქონდეთ მინიმალური ჰუმანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა".¹⁸

მ. სასოლი წერს, "საერთო მე-3 მუხლი ვრცელდება იმ კონფლიქტებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ "ერთ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე", მაშინ როცა II დამატებითი ოქმის პირელი მუხლი ვრცელდება კონფლიქტებზე, რომელიც მიმდინარეობს "მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე".¹⁹ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიზნებისთვის, ეს გაგებულ უნდა იქნეს, როგორც უბრალო დადასტურება იმისა, რომ ხელშემკვრულები ვრცელდება მხოლოდ მის ხელმომწერ სახელმწიფოებზე. იმ შემთხვევაში, თუ ამ სიტყვებს გავიგებდით ისე, თითქოს კონფლიქტები, რომლებიც სახელისუფლებო შეიარაღებულ ძალებსა და არასახელისუფლებო შეიარაღებულ ჯგუფებს შორის მიმდინარეობს, მაგრამ ვრცელდება რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ უნდა დაკვალიფიციდეს როგორც არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, მაშინ ადგილი ექნებოდა დიდ სიცარიელეს სამართლებრივ დაცვაში, რასაც სახელმწიფოები ვერ გაამართლებდნენ სუვერენიტეტის პრინციპით. სუვერენიტეტის საკითხი ვერ გაამართლებს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა ნაკლებ დაცვას ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლებთან შედარებით.

ამასთანავე, რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების პირველი და მეშვიდე მუხები ტრიბუნალის იურისდიქციას ავრცელებენ მეზობელი სახელმწიფოების არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის დაცვაზეც. ეს იმას ამტკიცებს, რომ შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც შეიძლება ვრცელდება რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რჩება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ "არასაერთაშორისო და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები ერთმანეთისგან განსხვავდება მასში მონაწილე მხარეების მიხედვით და არა კონფლიქტის გავრცელების ტერიტორიული ნიშნებით".²⁰

III. დასკვნა

ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე, წჯსკ-მ შეიმუშავა დეფინიცია, რომელიც წარმოადგენს ძლიერ დომინირებულ სამართლებრივ აზრს:

¹⁷ 3-3. გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი: შესავალი, გამოცემაში: ჰუმანურობა ყველასთვის: წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა, 3. ჰაუგი, პოლ ჰაუპტის გამომცემლობა, 1993, გვ. 555.

¹⁸ დ. შინდლერი, სხვადასხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტები ჟენევის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების მიხედვით, RCDA, 1979-II, გვ. 147.

¹⁹ მ. სასოლი, ტრანსნაციონალური შეიარაღებული ჯგუფები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ჰუმანიტარული პოლიტიკის და კონფლიქტების კვლევის პროგრამა, ჰარვარდის უნივერსიტეტი, 2006, ნომერი 6, გვ. 8, 9.

²⁰ ლისბეთ ზეგველდი, შეიარაღებული მოწინააღმდეგე ჯგუფების პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში, კემბრიჯი, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, გვ. 136.

1. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს მაშინ, როცა ადგილი აქვს ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის ძალის გამოყენებას.
2. არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი არის განგრძობადი შეიარაღებული დაპირისპირება სახელისუფლებო შეიარაღებულ ძალებსა და ერთ ან მეტ შეიარაღებულ ჯგუფს შორის, ან ასეთ ჯგუფებს შორის, რომელსაც ადგილი აქვს ჟენევის კონვენციების ხელშემკვერელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ასეთი შეიარაღებული დაპირისპირება უნდა აღწევდეს ინტენსივობის მინიმალურ დონეს და მხარეები უნდა ატარებდნენ მინიმალურ ორგანიზებულ ხასიათს მაინც.